ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 122. ხუთშაბათი, 29 მაისი 1903 წ. გაზეთის № 2164.

4 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი **ცნობის ფურცელი** კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 ივნისიდან წლის დამლევამდე.

დაგვირგვინებული.—სურათი ბერკობერის.

სიმღერა

დაჰკა, ძმაო, დაჰკა მაგრა,
რკინა მარდად გამოსჭედე,
უკეთესი მომავალი
კვალად შრომით აიმედე.

სისხლი სჩქეფს და სისხლი მოდუღს,
ჰხედავ, ძარღვი გავსებულა;
უქნარობის და უქმობის
ბატონობა დაცემულა!

თუ რომ ძველად შრომა იყო
ქვეყნის დონე, ქვეყნის ძალა,
დღეს გვირგვინად დასდგომია
მას, რაც ნათლად შეიცვალა...

რას მიცქერი, ჰხედავ, გული
შიშველი მაქვს, დასერილი,
პატიოსან შრომის კვალი
მაღალს შუბლზე დაწერილი?!

მაღლა ზეცა და ძირს მიწა
ჰლოცვენ ჩემსა მარჯვენასა,
რომ ტკბილს ლუკმას არსობისას
უმზადებს ის ქვეყანასა.

დაჰკა, ძმაო, დაჰკა მარდად,
ბნელს ნათელი დააჭედე,
უკეთესი მომავალი
კვალად შრომით აიმედე!..

დაგიწყებული

სახალმოგზაო ხმება ესმის.—სურათი კორეოგრაფისა

მათხოვარი

ან. ჩეხოვისა

— მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენს ღმერთს შეჰხედეთ! მოგაქციეთ ყურადღება, მე უბედური, მშიერს, მაწანწალას! სამი დღეა ჩემს მუცელში არაფერი ჩასულა... ერთი ბაური არა მაქვს, რომ ღუმე გავათიო სადმე! ღმერთს გეფიცებით, რვა წელიწადი სოფლის მასწავლებლად ვიყავი დაჯრობის ინტრიგებით დავკარგე ადგილი... დასმენის მსხვერპლი გავხდი. . აი, უკვე ერთი წელიწადია, რაც უადგილოდ დავდივარ...

ნაფიცი ვექილი სკვორცოვი დაკავირდა მათხოვრის მოლურჯო შეძველებულ-შემოხეულ პალტოს, იმის ამღვრეულ, ლოთის თვალებს, ლოყებზე წითელ წერტილებს და თითქო იცნო ეს კაცი.

— ეხლა მაძღევენ ადგილს კალეგის გუბერნიაში,—გაანგარიშა მათხოვარმა:—მაგრამ იქ წასასვლელი ფული არა მაქვს .. დამეხმარეთ, მიეყვით წყალობა! სირცხვილია თხოვნა, მაგრამ გარეშეოა მიძღულებს... რა ვქნა!..

სკვორცოვმა დაბეედა კალოშებს, რომელთაგან ერთი ღრმა იყო, და უცებ გაიხსენა.

— მომითმინეთ, მგონი მესამე დღეა, რაც შენ „სადოვოის“ ქუჩაზე გნახე!—სთქვა იმან.—მაგრამ თქვენ მაშინ ეგმორიცხულ სტუდენტად გამაცანით თავი და დღეს კი სოფლის მასწავლებელი ვარო, მეუბნები... გახსოვთ?

— ა...რა. შე..შეუძლებელია! — ბუტბუტებდა მათხოვარი დაბნეულად.—მე სოფლის მასწავლებელი ვარ და თუ არ გჯერათ, შემიძლიან ქაღალდები გაჩვენოთ.

— გეყოფათ ცრუობა! მაშინ სტუდენტი იყავი, კიდეც მომიყევი, თუ რად გამოგრიცხეს დ ეხლა სოფლის მასწავლებელი შეიქენ? გახსოვთ, რა მომიყევით?

სკვორცოვი გაწითლდა და უკმაყოფილების გამომეტყველებით მოუბრუნდა მათხოვარს.

— უსინდისობა და უპატიოსნება, მოწყალეო ხელმწიფევ!—წამოიყვარა გულმოსულად.—ავადმყოფობაა ესა, ძარცვა, გარყვნილებაა! მე თქვენ ეხლავე პოლიციაში ამოგაყოფინებთ თავს! მართალია, ღარბი ხართ, გშიათ, მაგრამ ეს მაინც ნებას არ გაძლევთ, რომ ასე უსინდისოდ ატყუოთ ხალხი, სძარცვოთ!

კონკებში გახვეულმა მათხოვარმა მოჰკიდა კარებს ხელი და ქუჩაღვივი მიმოიხედა.

— მე. . არ.. ა... არ ვსტყუი ბატ...—ბუტბუტებდა ისა:—შეგიძლიან ქაღალდები წარმოგიდგინოთ.

— მერე, ვინ დაგერწმუნებთ? — აღელვებით უთხრა სკვორცოვმა. — სოფლის მასწავლებლის ან სტუდენტის სახელით ფულის ღება, სწორედ რომ ძარცვაა, თავ-ლაფ დასხმაა, საძაგლობაა და სხვა არაფერი!

სკვორცოვი ისე გაჯავრდა, რომ ძალიანაც გალანძღა. ურცხვის ტყუილით მათხოვარმა თავი შეაზიზღა სკვორცოვს და შეურაცხჰყო ყველა ის, რაც სკვორცოვს ასე უყვარდა და რასაც თავის ღარსებად სთვლიდა, სახელდობრ: გულკეთილობა, გრძნობიერობა და გაპირვებულ და უბედურ ადამიანთა თანაგრძნობა. ტყუილით ამ ვიპატონმა შეჰლახა ის მოწყალება, რომელსაც იგი წუნდის გულით უნაწილებდა გაპირვებულებს. მათხოვარი ჯერ თავს იმართლებდა, ჰფიცავდა, მაგრამ მერე გაწყენდა და შერცხვენილმა თავი ჩაღუნა.

— ბატონო!—სთქვა იმან და გულზე ხელი დაიდო:—მართლაც მე... მო..მოგატყუეთ... მე არც სტუდენტი ვარ და არც სოფლის მასწავლებელი. ყველაფერი ჩემი მოგონილია, ტყუილია... მე ხოროში ვმსახურებდი და ლოთობისათვის გამომგდეს. რა ვქნა? ღმერთს გეფიცებით, თუ ტყუილი არა, ისე ცხოვრება არ შეიძლება! რაც მართალს ვიტყვი, არავინ არაფერს წყალობას არ მაძლევს... სიმართლით შიმშილით მოგვკვდები, ჩაგვკვდები სადმე კლდე-ღრეში. თქვენ მართალს ამბობთ, მესმის, მაგრამ... რა ვქნა?

— რა ჰქნა? მეკითხავთ, რა უნდა ჰქნათ?—მიაყვირა სკვორცოვმა და მიუახლოვდა:—იმეშავე, გესმის? უნდა იმეშავო!

— ვიმეშავო? მეც მესმის, მაგრამ ვისთან უნდა ვიმეშავო?

— სისულელეა! თქვენ ახალგაზდა ხართ, ჯანმთელი, ძალღონე გაქვთ და თუ სურვილი გექნებათ, ყოველთვის იშოვით სამუშაოს. მაგრამ ზარმაცი ხართ, გარყვნილი, ლოთი! თითქოს სამიკიტნოო, ისე გდით არყის სუნი! თქვენ გამოფიტული ხართ, ტყუილი და ვერაგობა სისხლ-ხორცში გაქვთ გამჯდარი! თუ როდისმე მოისურვებთ მუშობას, უთუოდ კანცელარიის ან რომელსამე ხოროს მოინდომებთ, სადაც მუშობით თავს არ შეიწუხებთ და ფულს კი დაუდებთ ხახასა! არ ინებებთ ფიზიკურ მუშობას? მე შენ გეტყვი, მეეზოვეთ ან ქარხანაში მომუშავეთ წახვალ! თქვენ...

— ღმერთო ჩემო, როგორა სთქვით?—წაილაპარაკა მათხოვარმა და მწარედ გაიოიმა.—სად უნდა ემუშაო ფიზიკურად? ნორჩად წავიდე—ეხლა ვეღარ არის, მეეზოვედ—არავ-

Редакторъ: Прив. доц. Т—ва, Корректоръ: Ирадзе. Тип. Ал. Ал. ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიყვანს, ქარხანაში კი, რადგან ხელობა არა ვიცი-რა, ახლოც არავინ მიმიკარებს და რა ვქნა?

— სისულელეა! ყოველთვის იშოვით თავის გასამართლებელს! არ ინებებთ, ნეტავი, შეშის დაპობას?

— უარს არ ვიტყვი, მაგრამ მე კი არა, ეხლა ნამდვილი შეშის მპობელნიც ულუკომ-პუროდ არიან...

— ყველა თქვენისთანა მუქთა მჭამელი ასე სჯის! თუ მოგაწოდეს რამე სამუშაო, მაშინვე უარს იტყვით... არა გსურთ, მე დამიპოთ შეშა?

— როგორ არა... ეხლავე... დაგიპობთ...

— კარგი, ვნახოთ... კარგია, დავინახავთ!

სკვორცოვმა საჩქაროდ დაუძახა სამზარეულოში მოსამსახურე ქალს.

— აი, ოლგა! --უთხრა მოსამსახურეს:—წაიყვანე ეს კაცი საშეშეში და შეშა დააპოს!

მათხოვარმა მხრები აიწია, თითქოს ვერ მიჰხვდა, საქმე რაში იყო, და ძალა-უნებურად გაჰყვა მზარეულ ქალს. იმის სიარულიდან ადვილად მიჰხვდებოდა კაცი, რომ იგი შიმშილმა არ აიძულა სამუშაოდ წასულიყო. იმისთვის კი არ მიდიოდა, რომ მშიერი იყო, არამედ იმისათვის, რომ შერცხვა, რადგან სიტყვაში დაიჭირეს. ისიც ემჩნეოდა, რომ არაყს ძალიან დაესუსტებინა, ცოტა უქეიფოდაც იყო და სრულებით არ უნდოდა მუშაობა.

სკვორცოვი საჩქაროდ გავიდა სასადილო ოთახში. იქ ფანჯრიდან მოსჩანდა საშეშე და შეშის მპობიც. ფანჯრიდან სკვორცოვმა დაინახა მზარეული ქალი და მათხოვარი. საშეშესკენ მიდიოდნენ ატალახიანებულ თოვლში. ოლგა გულმოსული ათვალიერებდა თანამგზავრს, მერე გააღო საშეშეს კარები და გაჯავრებულმა მიხურა.

„ნამდვილად ყავის სმა შეუშალეთ!—გაიფიქრა სკვორცოვმა:—რა ბოროტი ქმნილებაა!“ მერე დაინახა, როგორ დაჯდა მატყუარა მასწავლებელი და სტუდენტი, როგორ დაეყრდნო იდაყვებს და ფიქრს მიეცა. ოლგამ ესროლა ფეხებში ნაჯახი და გულ მოსულმა მიაფურთხა. როგორც სახეზედ ეტყობოდა, აგინებდა და ლანძღავდა კიდეც. მათხოვარმა ზარმაცად მიითრია ახლო ერთი კუნძი, დაიჭირა ფეხებ შუა და ზანტად დაუწყო ნაჯახით ჩაკუნი. კუნძი შეირყა და წაიქცა. მათხოვარმა კიდევ მიიწია კუნძი, გაყინულ ხელებზედ სული შეიბერა და კიდევ დაუწყო ჩაკუნი ისეთის სიფრთხილით, რომ გეგონებოდათ, ეშინიან ან კალოში არ გაიფუჭოს ან თითი არ მოიჭრასო. კუნძი კიდევ გადაუბრუნდა.

სკვორცოვი ბრაზმა აიტანა და, ცოტა არ იყოს, ეწყინა კიდეც, იმისთვის რომ გარყვნილ ლოთს და, შეიძლება, ავადმყოფ კაცს ამ ყინვაში ამუშავებდა.

„არა უშავს-რა! დეე...—გაიფიქრა იმან, როცა სასადილო ოთახიდან კაბინეტში მიდიოდა.—იმის სარგებლობისთვის მოვიქეც.“

ერთის საათის შემდეგ მოვიდა ოლგა და მოახსენა ბატონს, რომ შეშა უკვე დაჭრილიაო.

— მაშ, მიეცი ეს ათი შაური! — უთხრა სკვორცოვმა.—თუ უნდა, მოვიდეს ყოველთვის პირველ რიცხვებში და აპოს ჩემთან შეშა... სამუშაო ყოველთვის იქნება...

პირველში კიდევ მოვიდა მათხოვარი, იმუშავა და მიიღო ათი შაური, თუმცა ფეხზედ ძლივს იდგა. ამის შემდეგ ხშირ-ხშირად დაიწყო სკვორცოვისას სიარული და ყოველთვის სამუშაოს შოულობდა: ხან თოვლს სწმენდდა რომელსამე ადგილიდან, ხან საშეშეს ხვეტდა და სხვ. ყოველთვის მუშაობის შემდეგ იღებდა 20—40 კაპეიკს. ერთხელ ძველი შარვალიც აჩუქეს.

სკვორცოვმა სხვა სახლი დაიჭირა და იქ უნდა ნივთები გადაეტანა. ამისათვის დაიქირავა მათხოვარი. ამ დღეს ის ფხიზელი, მოწყენილი და ჩუმი. იყო შორი-ახლო უვლიდა ავეჯს და თავ-ჩაქინდრული დადიოდა ურმების უკან, თითქოს სცდილობდა, რომ საქმის კაცად იცნონო... მხოლოდ ხანდახან სიცივისგან შეწუხებული ზანზალს დაიწყებდა და როცა მეეტლეები უსაქმობისათვის დასცინოდნენ, ვითომ დაირცხვენდა კიდეც. იმისი დახეულ-დაფლეთილი პალტო სასაცილოდ არა ჰყოფნიდათ მეეტლეებს. ნივთების გადატანის შემდეგ მთხოვარა მიიწვია სკვორცოვმა.

— ვხედავ, რომ ჩემმა სიტყვებმა შენზედ გავლენა იქონია!—უთხრა იმან და მიაწოდა ერთი მანეთი:—აი, ეს გქონდეს შრომისთვის. ვხედავ, რომ ფხიზლადა ხართ და არც სამუშაოს გაექცევით. რა გვარი ხართ?

— ლუშკოვი.

ტკბილ სიზმრებში!—სურათი ვინესსი.

— ლუშკოვ, შემიძლიან ეხლა უფრო სუფთა და კარგი სამუშაო გიშოვნოთ. წერა შეგიძლიანთ?

— დიაღ, ბატონო!

— მაშ, ეს წერილი წაიღეთ ხვალ ჩემს მეგობართან და ის საწერებს მოგცემთ. იმუშავეთ, იშრომეთ და ლოთობას თავი დაანებეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რაც გითხარით. მშვიდობით!

სკორაკოვმა, რომელიც კმაყოფილი იყო იმით, რომ ადამიანი დაიყენა ეშმარიტ გზაზედ, მოფერებით მოჭკიდა ლუშკოვს ძხრებზედ ხელი და გამოთხოვების დროს ხელიც-კი ჩამოართვა. ლუშკოვმა წაიღო წერილი და აღარც მოსულა სკორაკოვთან სამუშაოდ...

გავიდა ორი წელიწადი. ერთხელ სკორაკოვი თეატრის კასსის წინ იდგა და ბილეთს ყიდულობდა. ამ დროს დაინახა გვერდით პატარა ტანის კაცი, რომელსაც ბატკნის ტყავის საყელო ჰქონდა და შეძველებული ქუდი ეხურა. ამ კაცმა მორცხვად მოსთხოვა კასსირს გალერეის ბილეთი და შაურიანები მისცა.

— თქვენ... ლუშკოვი ხართ?—ჰკითხა სკორაკოვმა, რადგან იცნო ძველი შეშის მპობელი.—როგორა ხართ? რას მუშაობთ? კარგად სცხოვრობთ?

— გმადლობთ... გვარიანად... ეხლა ნატარიუსთან ვმსახურებ, ოცდა თხუთმეტი მანეთი მაქვს ჯამაგირად...

— მაშ მაღლობა ღმერთს! ძალიან კარგია, სწორედ, სწორედ ძალიან მიხარიან. ლუშკოვ! იცით, ლუშკოვ, მე თქვენ მონათვლაში წილი მიდგეს... ხომ გახსოვთ, მე დაგაყენეთ ეშმარიტ გზაზედ. გახსოვთ, როგორ გაგლანძღეთ, ჰა! გეტყობოდათ ძალიან შეგრცხვათ... მაშ, გმადლობთ ძალიან, რომ ჩემი სიტყვები არ დაგავიწყებიათ.

— თქვენც გმადლობთ!—უთხრა ლუშკოვმა:—თქვენ რომ არ შეგხვედროდით, შეიძლება დღესაც სტუდენტი და მასწავლებელი მეწოდებინა ჩემის თავისთვის. დიახ, თქვენ დამიხსენით, უფსკრულიდან ამოვედი...

— ძალიან, ძალიან მიხარიან...

— დიდად გმადლობთ კეთილის სიტყვისა და საქმისათვის. თქვენ მაშინ მშვენივრად ლაპარაკობდით. თქვენ ძალიან გემადლიერებით და თქვენ მზარეულ ქალს ოლგასაც: ღმერთი იყოს იმისი შემწე! კეთილი და პატიოსანი ქალია. თუმცა თქვენ მაშინ საუცხოოდ მელაპარაკეთ, რისთვისაც დიდად გმადლობთ, მაგრამ მე მიხსნა თქვენმა მზარეულმა ოლგამ...

— როგორ?

— აი, როგორ. როგორც კი მოვიდოდი თქვენთან შეშის საპობად, მაშინვე დამიწყებდა ხოლმე: „აი, შე ლოთო! კაცის მკვლელი ხარ, ღმერთ გამწყრალი ხარ! სიცოცხლეთ დაღუპული ხარ!“ მერე მომიჯდებოდა, მომანერებოდა მწყალრედ და ტირილს დაიწყებდა: „სიკოდავი ადამიანი ხარ, შე საწყალო! ამ ქვეყნად შენთვის სიხარული არაა... იქაც, როგორც ლოთი, ჯოჯოხეთში იქნები. საბრალო ხარ, შე საწყალო!“ და სულ ამისთანა სიტყვებს მეუბნებოდა. ძალიან ბევრი სისხლი გაიფუჭა და ცრემლები დაჰღვარა იმან ჩემის გულისთვის. მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ ჩემს მაგივრად ის აპობდა შეშას... წარმოიდგინეთ, ბატონო, მე თქვენსას არც ერთი ღერი შეშა არ გამიპია, სულ ოლგა აპობდა. როგორ მიხსნა იმან და ისისმა ცქერამ ლოთობა როგორ მიმატოვებინა, ამისი ახსნა არ შემიძლიან. ვიცი მხოლოდ, რომ ისისმა სიტყვებმა და ადამიანურმა საქციელმა ჩემში ცვლილება მოახდინა, გამასწორა... ამის დავიწყება არ შემიძლიან. მგონი ეხლა დრო, უკვე რეკენ...

ლუშკოვმა ზრდილობიანად თავი დაუკრა სკორაკოვს და წავიდა გალერეიაზე.

გ. მალაქიაშვილი.

უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან.

ქმარი. კიდევ შეგეკერვინებია ახალი კაბა? სრულიად გაბედარბიბ შენმა ტახტ-ჩაგმეულობამ!..

ცოლი. შენისთანა კაცის ცოლს არ შეეფერების სხვანაირად ცხოვრება! სიღარიბეს ორაენ ჭმეკვლენ, სიმაღლეზედ ნეშ მორეულობას კი ეფერანი ჭმეკვლენ და ეაქვენ კარა ეს სიმაღიდრე არ არის შენთვის?

მსახური (კარებში მდგომს).—უკერვიდ, ეუ ვერ მიგიდებთ თქვენ როგორც ტრეფობთ, ლამის თეეშესეფარი ეფერა შეგეფერეთ, ვიდრე ამისთანა რესტორანი.

მოსაუდი. დიახ, ეუ, როგორც ეტრეფობ, კარეენიდთ თეეშესეფარა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Дозв. цензуры. Тифлисъ, 28 мая 1903 г. Электротип. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამბ—ისა